



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის
შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შპს „კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები.
- 1.2. დოკუმენტით განსაზღვრული რეგულაციების ძირითადი მიზანია, უნივერსიტეტში პლაგიატის შემთხვევების მაქსიმალური პრევენცია და ინტელექტუალური უფლებების მაღალი ხარისხით დაცულობის უზრუნველყოფა.
- 1.3. დოკუმენტით გათვალისწინებული რეგულაციები ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებზე.

2. პლაგიატის ფორმები

- 2.1. პირდაპირ პლაგიატად მიიჩნევა სხვა პირის ინტელექტუალური შრომის პროდუქტის, ნამუშევრის, იდეის, კონცეპტის, გრაფიკის ან/და სხვა ნებისმიერი სახის არსებული ნამუშევრის გამოყენება შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე.
- 2.2. პერიფრაზირებულ პლაგიატად მიიჩნევა წყაროს მითითების გარეშე სხვა პირის ნაშრომის ან მისი ნაწილის იმგვარი გამოყენება, როდესაც ტექსტის ფორმულირება შეცვლილია, თუმცა ტექსტის შინაარსი და სტრუქტურა უცვლელია.
- 2.3. თვითპლაგიატად მიიჩნევა შესაბამისი მითითებების გარეშე საკუთარი, იქამდე არსებული ნაშრომის გამოყენება მისი ახლად წარმოჩენის გზით.
- 2.4. მოზაიკურ პლაგიატად სხვადასხვა წყაროებიდან ტექსტის ან/და მოსაზრებების გამოყენება იმგვარად, როდესაც ისინი გაერთიანებულია და არ ჩანს (არ იკვეთება) კონკრეტული ინფორმაციის/გამოყენებული ნაწილის წყარო.
- 2.5. დაუდევრობით პლაგიატად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც მითითებული წყარო არასრულია ან/და არასწორია, რაც გამოწვეულია მიმთითებელი პირის დაუდევრობით.
- 2.6. წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი პლაგიატის შემთხვევები და მათი შინაარსი არაა ამომწურავი ხასიათის. წინამდებარე წესის მიზნებისთვის, პლაგიატი და საავტორო უფლებების დარღვევა უნდა განიმარტოს ფართოდ და მოიცვას აღნიშნული მიმართულებით აკადემიური არაკეთილსინდისიერების სხვა შემთხვევებიც (მათ შორის და არამხოლოდ სხვისი იდეების ან ნაშრომების ნებისმიერი გზით საკუთრად გასაღება, ჯგუფური ნაშრომის ინდივიდუალურად გასაღება, ინდივიდუალურის - ჯგუფურად და სხვა).

3. პლაგიატის თავიდან აცილების პრევენციული მექანიზმები

- 3.1. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტში არსებობს შემდეგი მექანიზმები:

- 3.1.1. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პლაგიატთან დაკავშირებული წესებისა და უნივერსიტეტის პოლიტიკის გაცნობა პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
- 3.1.2. უნივერსიტეტის ფარგლებში დამატებითი საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტების ინფორმირებას.
- 3.1.3. უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს აკადემიური წერის დისციპლინას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას.
- 3.1.4. უნივერსიტეტში მოქმედებს ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის ეფექტურ შემოწმებას მასში არსებული პლაგიატის რისკების თვალსაზრისით, რის შესახებაც აქტიურად ხორციელდება უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება.

4. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

- 4.1. უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია: კურსის განმახორციელებლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის ან/და რეცენზენტის დასკვნა; ნაშრომის ანტიპლაგიატის ელექტრონულ სისტემაში შემოწმება;
- 4.2. უნივერსიტეტში მოქმედებს ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემა Plagiarism Checker X 2021 (შემდგომში - ანტიპლაგიატის სისტემა), რომელიც იძლევა ნაშრომის ტექსტის სხვა წყაროებთან მსგავსების აღმოჩენის შესაძლებლობას.
 - 4.2.1. უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებას და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური.
 - 4.2.2. უნივერსიტეტის ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო, კვლევითი ნაშრომები, წიგნები, სტატიები და სხვა სახის პუბლიკაციები, რომლებიც ატარებს აკადემიურ ხასიათს, სავალდებულოა გამოქვეყნებამდე/საჯარო დაცვამდე შემოწმდეს ანტიპლაგიატის სისტემაში.
 - 4.2.3. ანტიპლაგიატის ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ნაშრომის შემოწმებისას, ნაშრომის ავტორი იძლევა თანხმობას, მისი ნაშრომის შემცველობა გამოყენებული იქნას სისტემაში არსებულ სხვა ინფორმაციასთან და მომავალში შესამოწმებლად წარდგენილ სხვა ნაშრომებთან შედარების მიზნებისთვის.
- 4.3. უნივერსიტეტის პერსონალი უნივერსიტეტში თავისი საქმიანობის ფარგლებში (მათ შორის, სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისას) ვალდებულია მისი ხელმძღვანელობით ან/და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული კურსის

ფარგლებში შექმნილი აკადემიური ხასიათის ნაშრომები შეაფასოს მასში პლაგიატის არსებობის თვალსაზრისით.

4.3.1. ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემოწმება ხდება შემდეგი მიმართულებით:

4.3.1.1. ნაშრომში გამოყენებული პირდაპირი ციტირების წილი მთლიან ტექსტთან;

4.3.1.2. ნაშრომში გამოყენებული წყაროების მითითება;

4.3.1.3. ნაშრომის ტექსტის შედარება რელევანტურ სფეროში არსებულ იმ ძირითად ლიტერატურასთან, რომელიც ნაშრომში წყაროს სახით არაა მითითებული.

4.4. ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის მიერ განსაზღვრული მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი არ შეიძლება იყოს ერთადერთი საფუძველი ნაშრომში პლაგიატის დადგენისთვის. ანტიპლაგიატის სისტემის მიერ განსაზღვრული მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი სავალდებულო გადამოწმებას საჭიროებს შესაბამისი პირის მიერ წინამდებარე მუხლში განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით, იმისათვის რათა მიღწეული იქნას სამართლიანი და ობიექტური შედეგი.

5. სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევებზე რეაგირება

5.1. სტუდენტის ნაშრომში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პლაგიატის რომელიმე ფორმით გამოვლინების შემთხვევაში, კურსის განმახორციელებელი ან/და სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია მიმართოს შემდეგი ზომებიდან ერთ-ერთს:

5.1.1. ნაშრომი უბრუნდება სტუდენტს შესაბამისი მითითებებით და ნაშრომის წარსადგენად თავდაპირველად განსაზღვრული ვადის ფარგლებში (ან შესაძლებლობის შემთხვევაში გონივრული ვადის მიცემით) ეძლევა შესაძლებლობა, წარმოადგინოს ნაშრომის გადამუშავებული ვერსია.

5.1.2. ნაშრომი ფასდება ნული ქულით.

5.1.3. 5.1.2 პუნქტში გათვალისწინებული უფლების გამოყენებასთან ერთად, განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის დისციპლინურ საბჭოს სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნით.

5.2. დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში საბჭო ამოწმებს ნაშრომში პლაგიატის არსებობის ფაქტს და მისი დადასტურების შემთხვევაში იყენებს შემდეგ პასუხისმგებლობის ზომებს:

5.2.1. სტუდენტისთვის შენიშვნის მიცემა.

5.2.2. პლაგიატის ფაქტის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

5.3. დისციპლინური საბჭოს მიერ პასუხისმგებლობის ზომის შერჩევასა და გთავალისწინებული უნდა იყოს ფაქტის მიმართ პირის დამოკიდებულება და პლაგიატის გამოვლენის ხარისხი.

5.3.1. პლაგიატის გამოვლენის ხარისხის განსაზღვრისას საბჭო მხედველობაში იღებს პლაგიატის წილს საერთო ნაშრომში და პლაგიატის ფორმას. პლაგიატის გამოვლენის მსუბუქ ფორმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პლაგიატის წილის 2%-ზე ნაკლები ოდენობა საერთო ტექსტში და პლაგიატის დაუდევრობის (უნებლიე) ფორმით გამოვლინება.

5.4. იმ შემთხვევაში თუ დისციპლინური საბჭო არ დაიწყებს ან შეწყვეტს წარმოებას იმ საფუძვლით, რომ ნაშრომში არ ვლინდება პლაგიატი, ასევე უქმდება ხელმძღვანელის მიერ გამოყენებული სხვა პასუხისმგებლობის ზომები და ნაშრომი ექვემდებარება თავიდან შეფასებას.

5.5. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი გამოყენებული იყო პირისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად და ნაშრომში პლაგიატის არსებობა დადასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანო უფლებამოსილია, პირს გაუუქმოს კვალიფიკაცია.

6. პერსონალის ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევებზე რეაგირება

6.1. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო, კვლევითი ნაშრომის, წიგნის, სტატიის ან სხვა აკადემიური ხასიათის პუბლიკაციის ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმების შედეგებსა და დასკვნას ნაშრომში პლაგიატის არსებობის/არ არსებობის შესახებ უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური ნაშრომის შემოწმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

6.1.1. იმ შემთხვევაში თუ ნაშრომის წარმდგენი პერსონალი ეთანხმება ნაშრომში პლაგიატის არსებობას, მას მიეცემა გაფრთხილება და ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს ნაშრომის გადამუშავებული ვერსია.

6.1.2. ნაშრომის წარმდგენი პერსონალის მიერ ნაშრომში პლაგიატის არ აღიარების ან აღიარების მიუხედავად განმეორებით შემთხვევაში, დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის დისციპლინურ საბჭოს პერსონალის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნით.

6.2. დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში საბჭო ამოწმებს ნაშრომში პლაგიატის არსებობის ფაქტს და მისი დადასტურების შემთხვევაში იყენებს შემდეგ პასუხისმგებლობის ზომებს:

6.2.1. საყვედურის გამოცხადება;

6.2.2. თანამდებობრივი ჩამოქვეითება;

- 6.2.3. შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.
- 6.3. დისციპლინური საბჭოს მიერ პასუხისმგებლობის ზომის შერჩევასა და ათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტის მიმართ პირის დამოკიდებულება და პლაგიატის გამოვლენის ხარისხი.
- 6.3.1. პლაგიატის გამოვლენის ხარისხის განსაზღვრისას საბჭო მხედველობაში იღებს პლაგიატის წილს საერთო ნაშრომში და პლაგიატის ფორმას. პლაგიატის გამოვლენის მსუბუქ ფორმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პლაგიატის წილის 2%-ზე ნაკლები ოდენობა საერთო ტექსტში და პლაგიატის დაუდევრობის (უნებლიე) ფორმით გამოვლინება.
- 6.4. იმ შემთხვევაში თუ დისციპლინური საბჭო არ დაიწყებს ან შეწყვეტს წარმოებას იმ საფუძველით, რომ ნაშრომში არ ვლინდება პლაგიატი, შესაბამისი აქტის საფუძველზე უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური გასცემს დასკვნას ნაშრომში პლაგიატის არ არსებობის შესახებ.